ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 18
25/06/2021

18-04-4-202106251553

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის - ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონება: ბინა №1 – 97.60 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.001); ბინა №2 – 29.80 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.002); ბინა №3 – 81.30 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი და სარდაფი -18.50 კვ. მეტრი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.003); ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა, №24, ბინა №8-ში მდებარე 98.50 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.35.365.01.008); ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №10-ში მდებარე 58.50 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.010); ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №13-ში მდებარე 58.60 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.013); ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №23-ში მდებარე 83.20 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.023).

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2021 წლის 11 ივნისის №2433/02 წერილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთ დასახელებული 7 ერთეული საცხოვრებელი ბინის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (7 ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება, კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე ბინა №1 – 97.60 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.001);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე ბინა №2 – 29.80 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.002);

გ) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე ბინა №3 – 81.30 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი და სარდაფი -18.50 კვ. მეტრი ფართი, (ს/კ 21.01.32.266.01.003);

დ) ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა, №24, ბინა №8-ში მდებარე 98.50 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.35.365.01.008);

ე) ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №10-ში მდებარე 58.50 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.010);

ვ) ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №13-ში მდებარე 58.60 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.013);

ზ) ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა №15, ბინა №23-ში მდებარე 83.20 კვ.მეტრი - საცხოვრებელი ფართი (ს/კ 21.03.32.071.01.023).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე